Global Compact
Network Georgia

შვედეთი
Sverige

ქცევის კოდექსის გზამკვლევი
მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

ზოგადი აღწერა

ქცევის კოდექსი სასურველია იყოს მცირე ზომის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა ძირითადი საკითხი მარტივად და ყველა თანამშრომლისთვის გასაგებ ენაზე. დოკუმენტის სიდიდემ არ უნდა დააბრკოლოს თანამშრომელი, სრულყოფილად გაეცნოს დოკუმენტს. ამასთან სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო დოკუმენტი იყოს, ინტერაქტიული და აკმაყოფილებდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტებს - იყოს ციფრული, შეიცავდეს ე.წ. ჰაიპერლინკებს, რეფერენსებს სხვადასხვა დოკუმენტზე, მათ შორის დასაშვებია ქვიზების და ტესტების/ქეისების ინტეგრირება ჭკვიანი ბმულების გამოყენებით, სასარგებლო ვიდეო რგოლების დამატება და ა.შ. უნდა ვეცადოთ დოკუმენტი იყოს ოფიციალური და ამავდროულად ინოვაციური, რომელიც შემდგომში გამოქვეყნებული იქნება კომპანიის ვებ გვერდზე.

I

შესავალი და წინასიტყვაობა / ეთიკური ლიდერობა

წინამდებარე დოკუმენტის შესავალ ნაწილში მენეჯმენტი გამოხატავს საკუთარ ერთგულებას მაღალი ეთიკური სტანდარტების მიმართ. მენეჯმენტი ხაზს უსვამს, რომ კომპანიის საქმიანობის საფუძველი არის პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები და მაგალითის მიცემა („Tone from the Top“), რაც უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს.

კორპორაციული ღირებულებები და კოდექსის გავრცელების არეალი

- თუ კომპანიას აქვს განსაზღვრული კორპორაციული ღირებულებები, აუცილებელია მათი ქცევის კოდექსში დაფიქსირება - მათი ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, ხოლო დეტალური აღწერა განთავსდება შესაბამის ცალკე დოკუმენტში.
- კოდექსი ვრცელდება ყველა თანამშრომელზე: მენეჯმენტზე, დამფუძნებლებზე, დროებით თანამშრომლებზე, კონსულტანტებზე და კონტრაქტორებზე, მათი ვალდებულებაა იმოქმედონ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

II

თანამშრომლები, მათი მნიშვნელობა და კორპორაციული ქცევის ნორმები

სასურველია, დოკუმენტში ხაზგასმული იყოს კომპანიისთვის ადამიანების - თანამშრომლების, როგორც კომპანიის ყველაზე ღირებული აქტივის მნიშვნელობა; პატივსაცემი, სამართლიანი და თანასწორი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის საჭიროება, სადაც მიუღებელია დისკრიმინაცია და ჩაგვრა; ხოლო თანამშრომლობა ხორციელდება პროფესიული, გუნდური მუშაობის პრინციპით.

საერთაშორისო მაგალითი

კომპანია აღიარებს, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი თანამშრომლები არიან. სწორედ ამიტომ, კომპანიას აქვს ვალდებულება შექმნას თანასწორი, პატივსაცემი და უსაფრთხო სამუშაო გარემო, სადაც თითოეული ადამიანი თავს გრძნობს დაცულად დადაფასებულად.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ სამუშაო ადგილი იყოს უსაფრთხო და ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას.

კომპანია მკაცრად კრძალავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას, შევიწროებასა და ჩაგვრას. ყველა თანამშრომელი ვალდებულია მოექცეს ერთმანეთს სამართლიანად და იმოქმედოს თანასწორი მოპყრობის პრინციპებთან შესაბამისობაში. ნებისმიერი არასათანადო ქცევა ან მტრული გარემოს შექმნა შეუთავსებელია კომპანიის ეთიკურ ნორმებთან.

კომპანია მხარს უჭერს თანამშრომლებს შორის პროფესიულ თანამშრომლობას, ურთიერთდახმარებას და გუნდურ მუშაობას. თანამშრომლებისგან მოითხოვება საქმიან ურთიერთობაში კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლიანი მოქმედება და კოლეგების მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულება.

კომპანია ასევე აღიარებს ტრენინგისა და უწყვეტი განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნის მნიშვნელობას. ამ მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას, როგორც ეთიკის საკითხებში, ისე მათ სამუშაო ფუნქციებთან დაკავშირებულ პროცესებსა და სტანდარტებში. ახალ ცოდნასა და უნარებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ორგანიზაციის, ისე თითოეული თანამშრომლის განვითარებისთვის.

შრომის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა

ქცევის კოდექსი განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების საყოველთაო ნორმებს (არასრულად) და მათი დაცვის აუცილებლობას. მათ შორის, სამუშაო ადგილზე სასმელის თუ ნარკოტიკული ნივთიერებების დაუშვებლობის თაობაზე, გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე.

კომპანია პასუხისმგებელია უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო,,შესაბამისი შრომის უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებთან. თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს მოთხოვნები და იმოქმედონ ისე, რომ თავიდან აიცილონ საკუთარი თავისა და კოლეგების დაზიანების რისკები.

შრომის უსაფრთხოების წესები მოიცავს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვას, მათ შორის აუცილებელ ინსტრუქციებსა და პროცედურებს, რომლებიც თანამშრომლებს ეხმარება უმაღლესი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

კომპანია მკაცრად კრძალავს სამუშაო ადგილზე ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებას ან ასეთი ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ საქმიანობას. აღნიშნული აკრძალვა ემსახურება როგორც თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, ისე კომპანიის ოპერატიული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვასა და მდგრადი განვითარების პრინციპებს. თანამშრომლები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნარჩენების შემცირებას და იმ პოლიტიკების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოზე ზრუნვას როგორც ყოველდღიურ საქმიანობაში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

თანამშრომელთა მუდმივი განათლება და პროფესიული განვითარება უსაფრთხოების, ეთიკისა და ოპერაციული სტანდარტების გაუმჯობესების აუცილებელი ნაწილია. კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის სწავლებასა და ტრენინგებს, ხოლო თანამშრომლები ვალდებულნი არიან აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში.

ინოვაციების დანერგვისას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას კომპანია იცავს პასუხისმგებლიანი და ეთიკური მოხმარების პრინციპებს. თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამოიყენონ ტექნოლოგიური რესურსები უსაფრთხოდ, კანონთან შესაბამისობაში და კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო ნებისმიერი ახალი ინოვაცია უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ და პასუხისმგებლიანად.

IV

ადგილობრივ და საერთაშორისო (საჭიროებისამებრ) კანონმდებლობასთან შესაბამისობა

ქცევის კოდექსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კანონმდებლობასთან (იქ სადაც აქტუალურია) შესაბამისობა. წინამდებარე თავში ექცევა ყველა ის მნიშვნელოვანი კანონი, რეგულაცია თუ აქტი, რომელიც სპეფიციურია კონკრეტული კომპანიისთვის. მაგალითად, ტელეკომ-ოპერატორისთვის სატელეკომუნიკაციო რეგულაციები, კვების ობიექტისთვის - სურსათის უვნებლობის რეგულაციები, წარმოებისთვის - შესაბამისი რეგულაციები და ა.შ. ამასთან, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ისეთი საკანონმდებლო მოთხოვნების ერთგულებაზე, როგორიცაა ანტიმონოპოლიური რეგულაციები, ტერორიზმისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნები, მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპები თუ საერთაშორისო სანქციების დაცვა.

საერთაშორისო მაგალითი

კომპანია თავისი საქმიანობის განხორციელებისას იცავს ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონსა და რეგულაციას. თანამშრომლები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კანონთან სრული შესაბამისობით და გაითვალისწინონ როგორც ზოგადი, ისე ინდუსტრიისთვის სპეციფიკური მოთხოვნები, იქნება ეს სატელეკომუნიკაციო რეგულაციები, სურსათის უვნებლობის სტანდარტები, წარმოების უსაფრთხოების წესები თუ სხვა სფეროს რეგულაციები.

კომპანია ერთგულია ანტიმონოპოლიური წესების, ანტიკორუფციული სტანდარტებისა და კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპების. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს, დაუშვებლად მიიჩნევა და ეწინააღმდეგება კომპანიის ეთიკურ და სამართლებრივ ვალდებულებებს.

V

სახელმწიფო უწყებებთან თუ მესამე მხარეებთან ურთიერთობა

სახელმწიფო უწყებებთან და მესამე მხარეებთან ურთიერთობა კომპანიებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, შესაბამისად მნიშვნელოვანია წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავდეს იმ პრინციპებსა და წესებას, რასაც კომპანია და მისი თანამშრომლები უნდა იცავდეს, ბიზნესპარტნიორებთან, მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან თუ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობისას, მათ შორის და არამხოლოდ ხაზს უნდა უსვამდეს კომპლექსური შესწავლის ე.წ. Due Diligence პროცესის აუცილებლობას, ბიზნეს ეთიკური ნორმების დაცვის საჭიროებას და სახელმწიფო გამოძებების ფარგლებში კეთილსინდისიერ თანამშრომლობას.

საერთაშორისო მაგალითი

კომპანია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვას ყველა მხარესთან ურთიერთობაში იქნება ეს პარტნიორი, მომწოდებელი, კონტრაქტორი თუ სახელმწიფო უწყება. თანამშრომლები ვალდებულნი არიან მოიქცნენ კეთილსინდისიერად, პატივისცემით და პროფესიული სტანდარტების დაცვით.

კომპანია ახორციელებს მესამე მხარის სათანადო შემოწმებას (Third Party Due Diligence), რათა დარწმუნდეს პარტნიორების სანდოობაში და შესაძლო რისკების არარსებობაში. სპონსორობისა და დონაციის საკითხებზე კომპანია იცავს ზოგად ეთიკურ პრინციპებს, ხოლო დეტალური პროცედურები დადგენილია ცალკეული დოკუმენტით.

საჯარო უწყებებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით გამოძიების ან კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში, თანამშრომლები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ უფლებამოსილ პირებთან და მიაწოდონ მხოლოდ ზუსტი, გადამოწმებული და უტყუარი ინფორმაცია. ნებისმიერი მცდელობა ინფორმაციის დამალვის, დამახინჯების ან შეცდომაში შეყვანის შესახებ ეწინააღმდეგება კომპანიის პოლიტიკას.

კომპანია მკაცრად იცავს კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს. დაუშვებელია არასათანადო საჩუქრების მიღება, შეთავაზება ან მასპინძლობა, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს გავლენის მოხდენის მცდელობად.

VI

ინტერესთა კონფლიქტი

ქცევის კოდექსის ერთ-ერთი მნიშნელოვანი საკითხია ინტერესთა კონფლიქტის მართვა. აღნიშნული თავი თანამშრომლებისთვის თვალსაჩინოს უნდა ხდიდეს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების აუცილებლობას და მისი მართვის მნიშვნელობას. ამავე თავში შესაძლებელია შიდა, ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების წესების დაფარვაც.

საერთო მაგალითი

დაუშვებელია კომპანიის თანამშრომელმა საკუთარი თანამდებობა, კომპანიის ინტერესების ხარჯზე გამოიყენოს მისი პირადი თუ მეგობრის ან ნათესავის ინტერესის სასარგებლოდ. თანამშრომელმა წინასწარ უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერ მომწოდებელთან, აგენთან თუ ბიზნეს პარტნიორთან ახლო, პირადი ურთიერთობების შესახებ, რომელთანაც კომპანია ახორციელებს ან გეგმავს საქმიან ურთიერთობას. დაუშვებელია პირადი ინტერესების ან ურთიერთობების გავლენით მიღებულ იქნას არამართლზომიერი ან არასათანადო გადაწყვეტილებები სამუშაოზე მიღებასთან, შერჩევასთან ან კომპანიის სახელით სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, მომწოდებლებთან, დილერებთან ან ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობის ფარგლებში.

VII

კომუნიკაცია და კონფიდენციალური ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტით ასევე განისაზღვრება შიდა და გარე კომუნიკაციის წესები, მათ შორის მედიისთვის, დაინტერესებული მხარისთვის არაუფლებამოსილი პირის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა.

საინფორმაციო მაგალითი

კომპანია ითხოვს, რომ თანამშრომლებმა დაიცვან შიდა და გარე კომუნიკაციის განსაზღვრული წესები. ინფორმაციის გაზიარება პრესასთან, პარტნიორებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეიძლება მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ. არაუფლებამოსილი პირების მიერ კომუნიკაცია ან ინფორმაციის გავრცელება დაუშვებელია.

თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება და არ გაუმჟღავნოს იგი მესამე პირებს. ასევე, თანამშრომელმა არ უნდა გაავრცელოს ისეთი მოსაზრება ან ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ზიანს აყენებდეს კომპანიის რეპუტაციას, შეცდომაში შეიყვანოს სხვა პირი.

მათ შორის, სოციალურ ქსელებში თანამშრომლებმა უნდა დაიცვან კომპანიის მიერ დადგენილი პრინციპები, როგორიცაა:

- სამუშაო ადგილის მითითების წესების დაცვა,
- პირად და პროფესიულ აქტივობას შორის მკაფიო გამიჯვნა,
- კომპანიის სახელით კომენტარების გაკეთების დაუშვებლობა,
- კონფიდენციალური ან არასანდო ინფორმაციის გამოქვეყნების მიუღებლობა.

VIII

პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალური მონაცემების პოლიტიკის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა, ქცევის კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავია, სადაც მკაფიოდ ხაზგასმული უნდა იყოს ის მკაცრი წესები და სტანდარტები, რითიც კომპანია ხელმძღვანელობს პერსონალური მონაცემების მიღების, დამუშავების, შენახვისა თუ გამჟღავნების ფარგლებში.

საერთაშორისო მაგალითი

კომპანია იცავს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას და მოქმედებს მონაცემთა დაცვის ყველა შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტის მიხედვით. თანამშრომლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და არ გამოიყენონ ან არ გაავრცელონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გამოიწვევს პირის იდენტიფიცირებას ან ზიანს მიაყენებს მის პირად სივრცეს.

IX

კომპანიის აქტივების დაცვა

თავი ეთმობა კომპანიის აქტივების კორპორატიული თუ პირადი მიზნით გამოყენების წესებს. მათ შორის,აქტივების გაფლანგვის ან ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას, აქტივების თაღლითობის ან ქურდობისაგან დაცვის აუცილებლობას და კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთგულებას.

საინფორმაციო მაგალითი

კომპანიის თანამშრომლები პასუხისმგებელნი ვართ, გამოვიჩინოთ სათანადო კეთილგონიერება კომპანიის აქტივების ბოროტად გამოყენების ან გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად. კომპანიის აქტივები მოიცავს საკუთრებას და აღჭურვილობას, სამუშაო დროს, კონფიდენციალურ ინფორმაციას და კომპანიის ფულად სახსრებს. ზოგადად ნებადართულია კომპანიის აღჭურვილობის შეზღუდულად გამოყენება პირადი მიზნებისთვის (მაგალითად, მობილური ტელეფონები, ქსეროქსი, კომპიუტერები, ელ. ფოსტა, და სხვ.), თუ მას გააჩნია არასისტემატური ხასიათი, მნიშვნელოვნად არ ზრდის ხარჯს კომპანიისთვის, არ უშლის ხელს სამსახურეობრივ პასუხისმგებლობებს და არ არის დაკავშირებული არაკანონიერ ან შეუსაბამო საქმიანობასთან.

X

კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობა

აუცილებელია კომპანიამ ღიად და მკაფიოდ დააფიქსიროს საკუთარი კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ისე კომპანიის სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია. ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება და რა მიმართულებები აქვს შერჩეული კომპანიას მისი სოციალური პასუხისმგებლობის გეგმის ფარგლებში.

საინფორმაციო მაგალითი

კომპანია აღიარებს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა. თანამშრომლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ გამჭვირვალე, სანდო და გასაგები ინფორმაცია პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, რათა მომხმარებელმა შეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

კომპანია უზრუნველყოფს ეფექტიან უკუკავშირის სისტემებს, რომლებიც მომხმარებლებს აძლევს საშუალებას გააზიარონ გამოცდილებით მიღებული უკუკავშირი ან განაცხადონ გადაცდომისა თუ პრობლემის შესახებ. კომპანიას ეკისრება ვალდებულება ასეთი საკითხები დაამუშაოს სწრაფად, სამართლიანად და მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომით.

კორპორაციული პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. კომპანია იცავს საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მქონე პრაქტიკებს და განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა გარემოზე ზრუნვა, ეთიკური ბიზნესპრაქტიკის მხარდაჭერა, საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პარტნიორებთან გამჭვირვალე თანამშრომლობა.ამ პრინციპებით კომპანია ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივ ნდობას.

XI

რეპორტინგისა და პრობლემის გაცხადება ე.წ. SPEAKUP/WHISTLEBLOWING

ქცევის კოდექსის დასკვნით ნაწილში, აუცილებელია ვისაუბროთ პრობლემის შესახებ ღიად გაცხადების საჭიროებაზე და მის ხელშეწყობაზე, ვინაიდან პრობლემებისა და გადაცდომების შესახებ ხმამაღლა და უშიშრად საუბრის გარეშე რთულია უზრუნველვყოთ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული ბიზნეს პრაქტიკა.

საერთაშორისო მაგალითი

კომპანია ხელს უწყობს გახსნილ და გამჭვირვალე სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლებს თავისუფლად შეუძლიათ განაცხადონ ნებისმიერი დარღვევის, საფრთხის ან არაეთიკური ქცევის შესახებ. “ხმამაღლა საუბრის” წახალისება აუცილებელია იმისთვის, რომ კომპანიამ დროულად აღმოფხვრას პრობლემები და დაიცვას მაღალი ეთიკური სტანდარტები.

ნებისმიერი პირი, რომელიც კეთილსინდისიერად ითხოვს რჩევას, წამოჭრის პრობლემას ან განაცხადებს შეუსაბამო ქცევის შესახებ, იცავს ამ კოდექს - და იქცევა სწორად. კომპანია არ დაუშვებს შევიწროებას ან ჩაგვრას ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად განაცხადებს პრობლემის შესახებ. თანამშრომელს უფლება აქვს გააკეთოს განცხადება როგორც ღიად, ისე ანონიმურად, კომპანიის მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხების გამოყენებით {შესაბამისი ტელეფონის ნომერი ან ელ.ფოსტის მისამართი}

XII

პასუხისმგებლობა
და ანგარიშვალდებულება

საერთაშორისო მაგალითი

წინამდებარე თავში მოცემულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობა კომპანიის ქცევის კოდექსის დარღვევისათვის და მენეჯერთა პასუხისმგებლობა იყვნენ კომპანიის ღირებულებებისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვის საუკეთესო მაგალითები.

ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას ქცევის კოდექსით და სხვა პოლიტიკებითა და პროცედურებით განსაზღვრულიწესები და პასუხისმგებელია მათი დარღვევის შედეგებზე. კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამო მოქმედებამ ან დაუმორჩილებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხისმგებლობა..

მენეჯერებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, თანამშრომლებისთვის სათანადო ქცევითი სტანდარტის დაწესებაში. ისინი ვალდებულნი არიან იყვნენ მაგალითის მიმცემი, წაახალისონ ეთიკური ქცევა და შექმნან გარემო, სადაც წესების დაცვა ბუნებრივი და მუდმივი პრაქტიკაა.

ეთიკური კულტურის მხარდაჭერა კომპანიის ყველა დონეზე საერთო ვალდებულებაა. თითოეული თანამშრომელი, მიუხედავად პოზიციისა, მონაწილეობს იმ გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაში, სადაც პატივისცემა, კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს.

შენიშვნა:

დოკუმენტის სრულყოფისთვის, რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას მენეჯმენტის მისასალმებელი სიტყვა, ცნობილი ადამიანის გამონათქვამი და ა.შ.

დოკუმენტში მოცემული რიგითობა პირობითია. ამასთან, კომპანიას შეუძლია შეხედულებისამებრ ამოიღოს, დაამატოს მისთვის სასურველი თემები.

ქცევის კოდექსის გზამკვლევი
მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

აღნიშნული ქცევის კოდექსის შემუშავება მოხდა, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, ბიზნესის კეთილსინდისიერების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემდეგი კომპანიების ჩართულობით;
სელფი მობაილი, საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი და ეფეს საქართველო.

სელფი® მობაილ

BANK OF GEORGIA

თიბისი

EFES GEORGIA